

**სახაზინო სამსახურის  
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**  
**საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის  
შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების შესახებ**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები**

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების და გრანტების იანვარ-ივნისის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 093 420.3 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 1 183 835.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 108%-ია. მთლიანი შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 070 022.7 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულმა მთლიანმა შემოსავლებმა შეადგინა 1 153 242.4 ათასი ლარი (საპროგნოზო პარამეტრის 108%); მათ შორის: საგადასახადო შემოსავლებმა – 771 052.5 ათასი ლარი; არასაგადასახადო შემოსავლებმა – 136 429.4 ათასი ლარი, კაპიტალურმა შემოსავლებმა – 245 760.5 ათასი ლარი; გრანტების სახით მიღებულმა შემოსავლებმა – 30 712.1 ათასი ლარი.

საგადასახადო შემოსავლების 2005 წლის იანვარ-ივნისის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 741 484.0 ათას ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა (771 052.5 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო პარამეტრის 104%; მათ შორის:

– დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი შეადგენს 406 414.0 ათას ლარს, ფაქტიურად მიღებულია 425 865.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105%; მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა დღგ-მ შეადგინა 169 423.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (165 378.0 ათასი ლარი) 102%-ია, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან მიღებული დღგ-ს შემოსავლების მოცულობა შეადგენს 256 442.7 ათას ლარს, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (241 036.0 ათასი ლარი) 106%-ს.

– აქციზის სახით მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 138 700.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებულია 128 770.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 93%; მათ შორის: საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან მიღებული აქციზის მოცულობა შეადგენს 28 335.0 ათას ლარს, რაც გეგმის (48 830.0 ათასი ლარი) 58%-ია, საბაჟო დეპარტამენტიდან მობილიზებული აქციზის თანხების მოცულობამ შეადგინა 100 435.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (89 870.0 ათასი ლარი) 112%-ია.

– საბაჟო გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 50 794.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 51 339.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101%.

– სოციალური გადასახადის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 145 576.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 162 920.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 112%. მათ შორის მობილიზებულია: სოციალური გადასახადი საბიუჯეტო სექტორიდან 51 447.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (48 306.0 ათასი ლარი) 107%-ია, ხოლო სოციალური გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან – 106 442.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (97 270.0 ათასი ლარი) 109%-ს შეადგენს, ასევე “სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადის” სახით მიღებულია 5 030.9 ათასი ლარი.

2005 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტში “სხვა გადასახადების” სახით ჩარიცხულმა თანხებმა შეადგინა 2 155.6 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა გადასახადების სახით გასული წლების ნარჩენ თანხებს.

სულ 2005 წლის იანვარ-ივნისში საგადასახადო შემოსავლების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში საბაჟო დეპარტამენტის მიერ მობილიზებული იქნა 408 218.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის – 381 700.0 ათასი ლარის 107%-ს შეადგენს, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 362 834.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის – 359 784.0 ათასი ლარის – 101%.

სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების იანვარ-ივნისის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 118 128.7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 136 429.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 115%; მათ შორის:

– მოსაკრებლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 22 776.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 31 840.8 ათასი ლარი, ანუ 140%.

– სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრების მოცულობა განისაზღვრა 470.8 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 499.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 106%-ია.

– მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1 777.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულია 982.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 55%.

– არაძირითადი (თანამდევნი) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გეგმამ შეადგინა 57.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 16.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 28%.

– დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 36 465.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 47 497.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 130%. მ. შ.:

– ვსახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 7 497.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 465.0 ათასი ლარი) 116%;

– ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 40 000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (30 000.0 ათასი ლარი) 133%.

– სახელმწიფო სესხის პროცენტის (სარგებლის) სახით მიღებული შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 1 228.3 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 200.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98%.

– ჯარიმებით და სანქციებით მიღებული შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი შეადგენს 3 254.0 ათას ლარს, ფაქტიურად კი მიღებულია 2 971.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 91%-ს შეადგენს.

– გაცემული კრედიტების დაბრუნებით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 157.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 517.0 ათასი ლარი) 92%.

– სხვა არასაგადასახადო შემოსავლების სახით ფაქტიურად მობილიზებული იქნა 47 263.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (47 583.0 ათასი ლარი) 99%-ია.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების იანვარ-ივნისის საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 210 410.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 245 760.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 117%; მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულ იქნა 244 455.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (210 300.0 ათასი ლარი) 116%; მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 110.0 ათასი ლარით (მათ შორის მიწის გაყიდვიდან – 110.0 ათასი ლარი), ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა (მიწის გაყიდვიდან) შეადგინა 1 305.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში 2005 წლის იანვარ-ივნისში მიღებული გრანტების მოცულობამ შეადგინა 30 592.8 ათასი ლარი, რაც საგეგმო პარამეტრის – 23 397.6 ათასი ლარის 131%-ია; მათ შორის: ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით გრანტის ფარგლებში მიღებული თანხების მოცულობამ შეადგინა 28 575.5 ათასი ლარი, რომელიც ჩართულია

ანგარიშგებაში, ხოლო გრანტის სახით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ჩარიცხულია 2017.3 ათასი ლარი; მათ შორის 117.3 ათასი ლარი (კონვერტირების შემდეგ) ლუქსემბურგის მიერ გამოყოფილი გრანტი, რომელიც ასევე ჩართულია ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში, სავალუტო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში ჩარიცხვის დღისათვის არსებული კურსის ექვივალენტით (119.3 ათასი ლარი) ეროვნულ ვალუტაში.

საინვესტიციო პროექტებზე მსოფლიო ბანკის “ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების საქმეში სოციალური და ეკონომიკური სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების პროექტის” (36.5 ათასი ლარი), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის “მთიან და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის განვითარების პროგრამის” (7.4 ათასი ლარი), გერმანიის ეჭჭ (4.5 ათასი ლარი) და ნავთობსადენის “ბორჯომის საზოგადოებრივი გართობის და დასვენების პარკის აღდგენის და განვითარების” (8 252.0 ათასი ლარი) გრანტები “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული და ასახულია 1 ივლისისათვის ხაზინის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებში, რადგან ხარჯებში ჩართული იქნება დაზუსტების და “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ; ასევე ნაშთებში ასახულია “სხვა გრანტების” სახით ჩარიცხული 2 513.6 ათასი ლარი, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებულია მიზნობრივი გრანტის სახით და ჩარიცხულია ხაზინის სპეციალურ ანგარიშებზე და ხარჯების გაწევის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვა, “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანების თანახმად, სახაზინო სამსახურის მიერ მოხდება საბანკო ანგარიშებზე გატარებით.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, სახაზინო სამსახურის მიერ საბანკო ანგარიშებზე 2005 წლის იანვარ-ივნისში გატარებული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის მიერ ადგილზე გახარჯული თანხები სულ 2 772.2 ათასი ლარი.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა თაობაზე” საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის და რეგიონალური ხაზინების საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე 2005 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთები 259.9 ათასი ლარი და შსს სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთი 509.2 ათასი ლარი სრულად მიიძარბა სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 2005 წლის იანვარ-ივნისში მოზიდული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ – 50 846.0 ათასი ლარი.

აქედან, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან ფაქტიურად მობილიზებულ იქნა 16 097.3 ათასი ლარი. მათ შორის:

– სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა 12 960.0 ათასი ლარი;

– წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებულ იქნა 3 137.3 ათასი ლარი. მათ შორის, 1 671.6 ათასი ლარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 ივნისის №ბს-466-573-კ-03 განჩინებით ს.ს. “თელასზე” ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული 5 671.6 ლარიდან, შეთანხმებული გრაფიკის თანახმად დაბრუნებული ნაწილი, რომელიც დაუბრუნდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, როგორც 2003 წელს გადარიცხული სახსრები.

რაც შეეხება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების სახით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში, ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, მიღებულ იქნა 34 748.7 ათასი ლარი, რაც სახაზინო სამსახურის მიერ ასახულია ანგარიშგებაში.

2005 წლის პირველი იანვრისთვის არსებული გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებულმა ოდენობამ შეადგინა 54 032.0 ათასი ლარი. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიან გამანაწილებელ ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა საბრუნავმა სახსრებმა შეადგინა 53 204.0 ათასი ლარი; სახაზინო სამსახურის ხარჯების ძირითად ანგარიშზე ნაშთმა შეადგინა 144.2 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის, ქ. ფოთის და რეგიონალური ხაზინების ანგარიშებზე რიცხულმა ნაშთებმა შეადგინა 683.8 ათასი ლარი.

1 ივლისის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზინის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 143 662.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის ჩართულია გრანტების ნაშთები 10 814.6 ათასი ლარი, რომელიც როგორც ზემოთ არის მითითებული, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში არ არის გატარებული.

2005 წლის 1 ივლისის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის საბიუჯეტო სახსრების სავალუტო ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 88.4 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები და ხარჯები

„საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯების კვარტალური განწერის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 8 აპრილის №292 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2005 წლის ექვსი თვის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და ხარჯების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 501 223.8 ათასი ლარით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს №571 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 213 109.9 ათასი ლარი, დამოწმებამ – 1 165 672.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა – 1 145 420.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების მიმართ 94%-ს და დამოწმების მიმართ 98%-ს, ხოლო ექვსი თვის საგეგმო მაჩვენებლის (1 501 223.8 ათასი ლარი) მიმართ შეადგენს 76%-ს.

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად 2005 წლის ექვს თვეში გაწეული სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში ასახულია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეულ ხარჯები, რომლის მოცულობის შესახებაც ინფორმაცია ორგანიზაციული კოდების მიხედვით ანგარიშს ერთვის დანართის სახით.

2005 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

“მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2005 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 137 720.0 ათასი ლარით. იანვარ-ივნისში ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 129 537.0 ათასი ლარი, ვალდებულებები დამოწმებულ იქნა (წარმოდგენილი იქნა განაცხადი) 126 492.5 ათას ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადახდამ შეადგინა 126 040.7 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 97%-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის 92%-ს.

“დამქირავებლიდან ანარიცხების” გეგმა განისაზღვრა 30 114.5 ათას ლარით; საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 27 768.6 ათასი ლარი, დამოწმებამ – 27 102.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილ იქნა 27 048.4 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 97%-ს და დამოწმების 100%-ს, ხოლო გეგმის – 90%-ს.

“მივლინებები”-სათვის 2005 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული იყო 10 047.6 ათასი ლარის გამოყოფა, საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 8 952.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 8 869.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 8 768.5 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 98%-ს და დამოწმების 99%-ს, ხოლო გეგმის – 87%-ს.

“მივლინებები”-ს მუხლით ორგანიზაციების ხარჯების დაფინანსების მაჩვენებლებია: საქართველოს პარლამენტი – 738.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 98% და დამოწმების 100%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის 98%; კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 26.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების და დამოწმების 100% და გეგმიური მაჩვენებლის 99%; საქართველოს კონტროლის პალატა – 158.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და დამოწმების 100%-ს და გეგმის 100%-ს შეადგენს; ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი – 4.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების და გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – 20.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების და გეგმის 100%; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატი – 81.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 81%-ს და დამოწმების 91%-ს, ხოლო გეგმის 81%-ს შეადგენს; სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური – 2.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების და გეგმიური მაჩვენებლის 100%; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი – 22.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 85% და დამოწმების 93%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის 73%; საგარეო საქმეთა სამინისტრო – 569.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების 100%-ს და გეგმის 100%-ს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი – 25.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების 98% და დამოწმების 99%, ხოლო გეგმის 87%; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი – 8.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების 99% და გეგმიური მაჩვენებლის 90%; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექცია – 3.5 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების და გეგმის 100%-ს.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 291 353.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან იანვარ-ივნისში აღებული ვალდებულებების მოცულობამ შეადგინა 176 610.0 ათასი ლარი (გეგმის მიმართ 61%), დამოწმებამ – 163 541.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 158 788.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90%-ს და დამოწმების 97%-ს,

ხოლო საგეგმო მაჩვენებლის – 55%-ს შეადგენს. ამ კატეგორიიდან ხდება საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯების დაფინანსება. 2005 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვების ხარჯების მუხლით დაგეგმილი იყო 11 643.7 ათასი ლარის გამოყოფა; აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 10 562.1 ათასი ლარი, დამოწმებამ – 7 138.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 093.1 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 67%-ს და დამოწმების 99%-ს, ხოლო გეგმის 61%-ს.

“სხვა საქონელი და მომსახურების” კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები – 8 088.7 ათასი ლარი, ვალდებულების 87% და დამოწმების 99%;
- კომუნალური მომსახურების ხარჯები – 17 758.9 ათასი ლარი, ვალდებულების 94% და დამოწმების 97%;
- სამედიცინო ხარჯები – 5 661.7 ათასი ლარი, ვალდებულების 96% და დამოწმების 99%;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები – 2 806.6 ათასი ლარი, ვალდებულების 79% და დამოწმების 98%;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები – 15 850.8 ათასი ლარი, ვალდებულების 74% და დამოწმების 99%;
- სხვა ხარჯები – 101 529.0 ათასი ლარი, ვალდებულების 95% და დამოწმების 96%.

„სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან ხდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხარჯების დაფინანსება, რომელიც მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს. შესაბამისად, 2005 წლის იანვარ-ივნისში საელჩოების შენახვისათვის აღებულმა ვალდებულება-დამოწმებამ შეადგინა 10 684.0 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა – 10 684.0 ათასი ლარი), საკასო ხარჯმა – 10 684.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმებისა და გეგმის 100%.

ამავე მუხლიდან ხდება ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დევნილთა და ლტოლვილთა შენახვის ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასების) და დევნილთა და ლტოლვილთა შენახვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსება. აღნიშნულმა ხარჯებმა შეადგინა 9 243.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 82%-ს და დამოწმების 86%-ს, ხოლო გეგმის (11 519.0 ათასი ლარი) 80%-ს შეადგენს.

“სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლით გასაწევი ხარჯების დაფინანსების მაჩვენებლებია: საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი – 45.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების (45.5 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის (48.4 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს; საქართველოს მთავრობის კანცელარია – 2 770.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 934.5 ათასი ლარი) 94%-ს და დამოწმების (2 859.9 ათასი ლარი) 97%-ს, ხოლო გეგმის (3 115.1 ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს; კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 24.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (24.5 ათასი ლარი) და დამოწმების (24.5 ათასი ლარი) 100%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის (37.0 ათასი ლარი) 66%. კონტროლის პალატა – 271.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (294.1 ათასი ლარი) 92% და დამოწმების (273.9 ათასი ლარი) 99%, ხოლო გეგმის (295.7 ათასი ლარი) 92%; საკონსტიტუციო სასამართლო – 100.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (103.7 ათასი ლარი) 96%-ს, დამოწმების (103.0 ათასი ლარი) 97%-ს და გეგმის (115.0 ათასი ლარი) 87%-ს შეადგენს; საქართველოს უზენაესი სასამართლო – 342.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (352.6 ათასი ლარი) 97%-ს და დამოწმების (343.2 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის (380.1 ათასი ლარი) 90%-ს შეადგენს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი – 5 668.9 ათასი ლარი,

ანუ ვალდებულების (6 016.1 ათასი ლარი) 94% და დამოწმების (5 936.7 ათასი ლარი) 95%, ხოლო გეგმის (6 036.7 ათასი ლარი) 94%; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი – 307.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (332.9 ათასი ლარი) 92%-ი და დამოწმების (314.7 ათასი ლარი) 98%-ი, ხოლო გეგმის (341.9 ათასი ლარი) 90%-ი; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის აპარატი – 40.5 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (40.5 ათასი ლარი) და დამოწმების (40.5 ათასი ლარი) 100%-ი, ასევე გეგმის (40.5 ათასი ლარი) 100%-ი; სასჯელაღსრულების დაწესებულებები – 2779.4 ათასი ლარი (მათ შორის კვების ხარჯები 1173.6 ათასი ლარი), ანუ ვალდებულების (2938.9 ათასი ლარი) 95%-ი და დამოწმების (2810.0 ათასი ლარი) 99%-ი, ხოლო გეგმის (3033.4 ათასი ლარი) 92%-ი; შსს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი – 61.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების (62.0 ათასი ლარი) 98%-ს, ხოლო გეგმის (62.5 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი – 124.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (126.3 ათასი ლარი) 98%-ი და დამოწმების (124.2 ათასი ლარი) 100%-ი, ხოლო გეგმის (126.3 ათასი ლარი) 98%-ი; სპორტის დეპარტამენტის აპარატი – 51.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (51.0 ათასი ლარი) და დამოწმების (51.0 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო გეგმის (51.1 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის აპარატი – 19.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 469.7 ათასი ლარი. ორგანიზაციებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა, დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ ეცნობათ წერილობით.

“სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 695 787.5 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 608 994.6 ათასი ლარი (გეგმის მიმართ 87%), დამოწმებამ – 592 569.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 580 859.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95%-ს და დამოწმების 98%-ს, ხოლო გეგმის 83%-ს შეადგენს.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2005 წლის იანვარ-ივნისში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 72 683.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულება-დამოწმების 100% და საგეგმო მაჩვენებლების 91%. მათ შორის: ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მიიმართა 27 789.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების და ექვსი თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (27 789.0 ათასი ლარი) 100%-ია. ემ. შ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში – 4 227.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 227.0 ათასი ლარი) 100%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში – 23 562.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 562.0 ათასი ლარი) 100%.

სოციალურ ღონისძიებებზე მიმართული ფინანსური დახმარების მოცულობამ შეადგინა 62 261.0 ათასი ლარი, ანუ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადარიცხული ტრანსფერების მთლიანი მოცულობის 86%, ხოლო სპეციალურ ღონისძიებებზე მიიმართა 10 422.1 ათასი ლარი.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების მუხლიდან დევნილთა შემწეობების დაფარვაზე მიიმართა 18 673.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების – 18 674.6 ათასი ლარის და დამოწმების – 18 673.9 ათასი ლარის – 100%, ექვსი თვის საპროგნოზო პარამეტრის (გეგმა – 18 674.6 ათასი ლარი) 100%.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს პენსიონერთა პენსიების



დასაფინანსებლად გამოეყო 223 072.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულების 224 270.2 ათასი ლარის, 99%-ს და დამოწმების – 223 145.1 ათასი ლარის, 100%-ს, ხოლო ექვსი თვის გეგმის (224 285.0 ათასი ლარი) 99%-ს. მათ შორის:

- ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიების დასაფინანსებლად წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 16 641.4 ათასი ლარი, დამოწმებამ – 16 602.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 16 585.2 ათასი ლარი, ანუ დამოწმების 100% და გეგმის 16 645.0 ათასი ლარის 99.6%;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების (რეგრესული პენსიები) დასაფინანსებლად წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 1 138.8 ათასი ლარი, დამოწმებამ და საკასო ხარჯმა – 1 105.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96%-ს შეადგენს;
- დანარჩენი პენსიების დასაფინანსებლად წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 160 045.0 ათასი ლარი, დამოწმებამ – 159 297.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 159 242.1 ათასი ლარი, რაც დამოწმების 100%-ია და ვალდებულებებისა და გეგმის (160 045.0 ათასი ლარი) 99.5%;
- პენსიების გაცემაში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად მიმართული იქნა 46 139.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს დამოწმების (46 139.8 ათასი ლარი) 100%-ს, ხოლო ვალდებულებების (46 445.0 ათასი ლარი) და გეგმის (46 445.0 ათასი ლარი) 99%-ს.

უმწვეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარების დასაფინანსებლად წარმოდგენილი ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 10 459.7 ათასი ლარი, დამოწმებამ – 9 495.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 9 491.0 ათასი ლარი, რაც დამოწმების 100%-ია და ვალდებულების და გეგმის (10 470.0 ათასი ლარი) 91%.

სუბსიდიისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის მიიმართა 30 302.7 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების და ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს.

კულტურის დაწესებულებების სუბსიდირებისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 14 636.9 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულებების – 15 091.0 ათასი ლარის 97%-ს, დამოწმების – 14 726.4 ათასი ლარის 99%-ს, ხოლო ექვსი თვის გეგმის 18 071.2 ათასი ლარის 81%-ს.

განათლების სისტემის სუბსიდირებისათვის მიმართული იქნა 32 147.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 32 699.9 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო დამოწმება წარმოდგენილი იქნა 32 176.9 ათასი ლარზე. ექვს თვეში გათვალისწინებული იყო 34 044.6 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო ხარჯმა შეადგინა დამოწმების 100%, ვალდებულების 98%, ხოლო საგეგმო მაჩვენებლის 94%.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდირებისათვის 2005 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული იყო 9 249.7 ათასი ლარის გამოყოფა. ვალდებულებები რეგისტრირებული იქნა 9 245.5 ათასი ლარზე, ხოლო დამოწმება წარმოდგენილია 8 520.3 ათასი ლარზე. საკასო ხარჯმა შეადგინა 8 516.9 ათასი ლარი, რაც დამოწმების 100%-ს, ვალდებულების და გეგმის 92%-ს შეადგენს.

კაპიტალური ხარჯების მუხლით 2005 წლის იანვარ-ივნისში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 83 377.7 ათასი ლარი, რაც დამოწმების – 86 559.6 ათასი ლარის 96%-ია და ვალდებულების (100 710.0 ათასი ლარი) 83%, ხოლო ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა – 136 035.5 ათასი ლარი) 61%. ძალოვანი სტრუქტურებიდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კაპიტალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 56 710.5 ათასი ლარი, რაც დამოწმების (58 259.7 ათასი ლარი) 97%-ია, ვალდებულების (70 007.6 ათასი ლარი) 81%-ი, გეგმიური მაჩვენებლის (93 394.8 ათასი ლარი) – 61%-ი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ექვს თვეში გაწეული კაპიტალური ხარჯების მთლიანი



მოცულობის 67%-ს შეადგენს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებამ შეადგინა 5 990.2 ათასი ლარი, ანუ დამოწმების (6 741.3 ათასი ლარი) 89%, ვალდებულებების (8 686.6 ათასი ლარი) 69%, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის (9 183.2 ათასი ლარი) – 65%; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 2 951.6 ათასი ლარი, ანუ დამოწმების – 2 951.6 ათასი ლარის 100%, ვალდებულებების – 2 956.7 ათასი ლარის 100%, ხოლო ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (4 118.1 ათასი ლარი) 72%.

საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიძღვრა 19 925.5 ათასი ლარი, რაც შეადგენს ვალდებულება-დამოწმების 100%-ს, ხოლო ექვსი თვის გეგმის (21 165.3 ათასი ლარი) 94%-ს; საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიძღვრა 90 721.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულება-დამოწმების 100%-ს და გეგმის (109 709.2 ათასი ლარი) 83%-ს შეადგენს; მ. შ.:

თანახმად “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა, დადგენილი წესის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს “თბილავიამშენს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს “თბილავიამშენს” თურქმენეთისათვის საგარეო ვალის დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისათვის გადაერიცხა 63 053.1 ათასი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში გადაერიცხა 5 336.9 ათასი ლარი. ამავე დანიშნულებით ფინანსთა სამინისტროსა და ს.ს. “ქართულ შაქარს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ს.ს. “ქართულ შაქარს” ვალის ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში გადაერიცხა 9 696.7 ათასი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში – 287.0 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენს 41 437.5 ათას ლარს, რაც ვალდებულება-დამოწმების 100%-ს შეადგენს, ხოლო გეგმიური მაჩვენებლის (41 626.9 ათასი ლარი) 99.5%-ია; მ. შ. ეროვნული ბანკის სესხის და სავალო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიძღვრა – 37 601.7 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯების დასაფარად – 3 835.8 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ანგარიშში, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და სხვა ქვეყნების მთავრობების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებით და გრანტებით საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 52 509.6 ათასი ლარი.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელი ფუნქციონალურ ჭრილში**

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2005 წლის იანვარ-ივნისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მაჩვენებლებია:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 119 596.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (165 246.8 ათასი ლარი) 72% შეადგენს. აღნიშნულ ხარჯებში საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების მოცულობა შეადგენს 179 63.5 ათას ლარს, რაც გეგმის (18 045.6 ათასი ლარი) 100%-ია; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსება 23 456.1 ათას ლარს, რაც გეგმის (26 376.3 ათასი ლარი) 89%-ია; ხოლო საფინანსო და საგადასახადო-საბიუჯეტო საქმიანობის ხარჯების დაფინანსება – 40 558.6 ათას ლარს,

რაც გეგმის (69 561.0 ათასი ლარი) 58%-ია; ფუნდამენტალური სამეცნიერო გამოკვლევების დაფინანსება – 8 593.0 ათასი ლარი, გეგმის (9 119.1 ათასი ლარი) 94%-ია. საერთო ხასიათის მომსახურებაზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 903.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 677.5 ათასი ლარი) 41%-ს შეადგენს.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 227 961.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 155 213.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 68%; მათ შორის სამხედრო საჭიროებასთან და სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის და ორგანიზაციის საკასო ხარჯებმა შეადგინა 154 597.6 ათასი ლარი ანუ გეგმის 227 338.7 ათასი ლარის 68%. აღნიშნული ხარჯები 2005 წლის ექვსი თვის მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების (1 145 420.8 ათასი ლარი) 13.5%-ს შეადგენს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების ხაზით 2005 წლის ექვს თვეში განსაზღვრული იყო 129 938.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 113 977.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 88% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ექვსი თვის ხარჯების 10%; აღნიშნულ ხარჯებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უშიშროებასთან დაკავშირებული საქმიანობის, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსებამ შეადგინა 95 122.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (107 687.6 ათასი ლარის) 88%-ია, სასამართლო ორგანოების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 12 519.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის – 15 369.3 ათასი ლარის 81%; ციხეების მუშაობის მართვის დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6 335.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 881.6 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 36 566.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33 835.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 93%; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი უმაღლესი განათლების დაფინანსების – 11 444.9 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (11 691.9 ათასი ლარი) 98%-ი; ასევე განათლების სფეროში საქმიანობისა და მომსახურების, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსების – 9 712.5 ათასი ლარი, რაც გეგმის – 9 918.4 ათასი ლარის 98%-ს შეადგენს. საშუალო განათლების საფეხურის დაფინანსებამ (9 500.1 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის გეგმის (10 593.2 ათასი ლარი) 90%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 89 620.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 67 506.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 75%; აღნიშნულ ხარჯებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებამ (45 239.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (54 412.4 ათასი ლარი) 83%-ი; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა საქმიანობის დაფინანსებამ (22 266.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (35 208.0 ათასი ლარი) 63%.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 279 572.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 277 758.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის (284 847.2 ათასი ლარი) 98%; აღნიშნულ ხარჯები 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ექვსი თვის ხარჯების 24.2%-ს შეადგენს. მათ შორის, სოციალური დაზღვევის ხარჯების მოცულობა (240 376.5 ათასი ლარი) შეადგენს გეგმის (242 896.2 ათასი ლარი) 99%-ს; ხოლო მ. შ. საპენსიო პროგრამების დაფინანსებამ (223 072.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (224 285.0 ათასი ლარი) 99%-ი; სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიას, დაფინანსებამ (36 097.2 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის გეგმის (40 173.6 ათასი ლარი) 90%.

საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 19 630.2 ათასი ლარით, რაც 2005 წლის ექვსი თვის გეგმის – 23 545.4 ათასი ლარის 83%-ს შეადგენს. აღნიშნულ ხარჯებში მნიშვნელოვანია ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის,

საგამომცემლო დაწესებულებების და სამსახურების დაფინანსება, რომლის მოცულობამ შეადგინა 8 703.9 ათასი ლარი, ანუ ექვსი თვის გეგმის (9 574.1 ათასი ლარი) 91%-ი; დასვენების ორგანიზაციისა და სპორტის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2 890.4 ათასი ლარი ანუ გეგმის 4 065.9 ათასი ლარის 71%-ი; კულტურის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ – 3 754.5 ათასი ლარი, შეადგინა გეგმის 4 416.4 ათასი ლარის 85%-ი.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 78 061.1 ათასი ლარი, ანუ ექვსი თვის გეგმის – 124 517.9 ათასი ლარის 63%-ი. აღნიშნულ ხარჯებში დიდი ხვედრითი წილია ელექტროენერჯისა და სხვა ენერგოშემცველების დაფინანსების (30 302.7 ათასი ლარი), რომელიც შეადგენს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთლიანი ხარჯების 39%-ს, ხოლო ექვსი თვის (30 302.7 ათასი ლარი) 100%-ს. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სფეროში საქმიანობის და მომსახურების, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, საკასო ხარჯებმა შეადგინა 42 397.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 66 948.0 ათასი ლარის 63%; მათ შორის პრივატიზებიდან მიღებული სახსრებით ენერგოსისტემის სუბსიდირების დამატებითი ღონისძიებების საკასო ხარჯმა შეადგინა 41 262.7 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (65 495.2 ათასი ლარი) 63%-ს შეადგენს. შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდება სათბობის (საერთაშორისო ინვესტიციური პროექტების) ხარჯების დაფინანსება, რომელმაც ექვს თვეში შეადგინა 5 361.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 27 267.2 ათასი ლარის 20%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის ხაზით ექვს თვეში დაგეგმილი იყო 28 259.6 ათასი ლარის გამოყოფა; საანგარიშო პერიოდში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19 832.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 70%; აღნიშნულ ხარჯებში სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის სფეროში საქმიანობისა და მომსახურების, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კატეგორიებს დაფინანსებამ შეადგინა 8 224.0 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმის (14 306.1 ათასი ლარი) 57%-ია, ხოლო სოფლისა და წყალთა მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 8 378.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 550.5 ათასი ლარი) 79%, სატყეო მეურნეობის დაფინანსებამ (3 215.5 ათასი ლარი) საგეგმო მაჩვენებლის (3 385.8 ათასი ლარი) 95%-ი.

სამთომომპოვებელი მრეწველობისა და სასარგებლო წიაღისეულის (სათბობის გარეშე), გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 353.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 302.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85%.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 39 544.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 27 604.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 70%. აღნიშნულ ხარჯებში საავტომობილო გზების მშენებლობის ხარჯების დაფინანსება (27 604.9 ათასი ლარი) შეადგენს მთლიანი ხარჯების 100%-ს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 13 359.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 864.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 51%; აღნიშნულ ხარჯებში მნიშვნელოვანია საერთო სამეურნეო და კომერციული საქმიანობის დაფინანსება საერთო შრომითი საქმიანობის გარეშე, რომლის მოცულობაც (5 738.5 ათასი ლარი) შეადგენს ექვსი თვის გეგმის (11 905.9 ათასი ლარი) 48%-ს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის მთლიანი ხარჯების 84%-ს.

სხვა ხარჯების, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს, დაფინანსებამ შეადგინა 225 237.3 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის გეგმის (337 462.7 ათასი ლარი) 67%-ს. აღნიშნულ ხარჯებში სახელმწიფო ვალდებულებებით ოპერაციების დაფინანსების მოცულობა 152 084.5 ათასი ლარი გეგმის (172 501.4 ათასი ლარი) 88%-ია

და სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის საკასო ხარჯების 13%-ს შეადგენს. საერთო ხასიათის ტრანსფერები სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის, მ.შ. სუბვენციების დაფინანსებამ შეადგინა 72 683.1 ათასი ლარი ანუ გეგმის 80 275.0 ათასი ლარის 91%-ია. “სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის სხვა ძირითადი ჯგუფებით”, საკასო ხარჯმა შეადგინა 469.7 ათასი ლარი (გეგმის 84 686.3 ათასი ლარის 1%; საგეგმო მაჩვენებელში გათვალისწინებულია გასული წლების დავალიანებების დაფარვის ფონდის ასიგნება), რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებით ხაზინის ანგარიშებიდან იძულების წესით, საინკასო დავალებების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ანგარიშში ჩამოჭრილ თანხებს.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ლონისძიებების ჭრილში

სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის იანვარ-ივნისის ხარჯების მაჩვენებლები ღონისძიებების ძირითადი კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

გზების ღონისძიებებზე გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 28850.1 ათასი ლარი, რაც გეგმით განსაზღვრული მაჩვენებლის – 41920.4 ათასი ლარის – 69%-ს შეადგენს; მათ შორის დიდია ხვედრითი წილი გზების მოვლა-შეკეთებაზე გაწეული ხარჯებისა, რომელმაც შეადგინა 28209.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (41227.8 ათასი ლარი) 68%-ია და გზების მთლიანი ხარჯების 98%-ს შეადგენს. გზების რეაბილიტაციაზე გაწეული იქნა 1245.1 ათასი ლარის ხარჯები, ანუ გეგმის (2376.2 ათასი ლარის) 52%-ი.

სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 16442.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (24685.1 ათასი ლარი) 67%. მ.შ. სოფლის მეურნეობის მართვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი – 5548.0 ათასი ლარი შეადგენს გეგმის (6895.3 ათასი ლარი) 80%-ს და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 34%-ს შეადგენს; ასევე, მიწების გაუმჯობესებაზე (პროგრამა “სურსათის უზრუნველყოფისათვის წყლის მართვა”) გაწეული ხარჯები, რომელმაც შეადგინა 1407.7 ათასი ლარი გეგმის (1516.0 ათასი ლარის) 93% და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 8.5%. ემეცხოველეობის განვითარების და დაცვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 1786.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2286.2 ათასი ლარის) 78%-ს და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 11%-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის ჯდარგის საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელია 6888.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12201.9 ათასი ლარი, რაც სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე გათვალისწინებული ასიგნებების 49%-ს შეადგენს) 56%.

გარემოს დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7256.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (13790.5 ათასი ლარის) 53%-ს შეადგენს. მათ შორის გარემოს მართვის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2420.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2742.1 ათასი ლარის) 88%-ი და გარემოს დაცვის მთლიანი ხარჯების მოცულობის 33%. საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 3527.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9744.6 ათასი ლარი, რაც გარემოს დაცვის ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების 71%-ს შეადგენს) 47%-ს და გარემოს დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 62%-ს შეადგენს.

ბუნებრივი რესურსების ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 3101.0 ათასი ლარს, ანუ გეგმის (3194.9 ათასი ლარის) 97%-ს, მათ შორის დიდია ხვედრითი წილი ბუნებრივი რესურსების მართვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობისა, რაც შეადგენს 2986.6 ათასი ლარს ანუ გეგმის (3036.1 ათასი ლარი) 98%-ს და ბუნებრივი რესურსების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 96%-ს.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4753.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8593.1 ათასი ლარი) 55%-ი; მათ შორის ინფრასტრუქტურის სფეროს საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელია 4615.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8446.5 ათასი ლარი, რაც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების 98%-ს შეადგენს) 55%-ი.

ენერგეტიკის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 78061.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 124517.9 ათასი ლარის 63%-ი. აღნიშნული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 7%-ს შეადგენს. ენერგოსისტემის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 49565.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (73797.9 ათასი ლარი) 67% და ენერგეტიკის ღონისძიებებზე გაწეული მთლიანი ხარჯების 63%-ია. მათ შორის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული (ენგურჰესის რეაბილიტაციის პროგრამით ჰესის გაჩერების გათვალისწინებით) ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 18990.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 24271.0 ათასი ლარის 78%-ი. ენერგეტიკის მართვის ღონისძიებებზე მიიძღროთა 1134.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.0%-ს შეადგენს; ენერგეტიკის დარგის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 27361.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 48267.2 ათასი ლარის 57.0%-ი.

განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30381.0 ათასი ლარი, რაც საგეგმო მაჩვენებლის – 33211.7 ათასი ლარის 91.0%-ს შეადგენს. მათ შორის, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები 4451.9 ათასი ლარი გეგმის (5344.7 ათასი ლარის) 83%-ს და განათლების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 15%-ს შეადგენს, უმაღლესი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯებმა – 12243.4 ათასი ლარი (გეგმის 12646.5 ათასი ლარის 97.0%-ი), შეადგინა განათლების ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 40.0%-ი. საშუალო პროფესიული განათლების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1079.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 1321.4 ათასი ლარის 82.0%-ი, ხოლო დაწყებითი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 713.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 718.4 ათასი ლარის, 99.0%-ია.

კულტურის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობა შეადგენს 20965.9 ათას ლარს, ანუ გეგმის 23442.2 ათასი ლარის 89.0%-ს. მათ შორის თეატრები, ფილარმონიები, მუსიკალური კოლექტივები, ანსამბლები და სხვა ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 3613.7 ათას ლარს, რაც გეგმის 4048.6 ათასი ლარის 89.0%-ია. ემუზეუმებისა და გამოფენების დაცვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 1953.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 2048.1 ათასი ლარის 95.0 %-ი. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ღონისძიებები დაფინანსებულია 103.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 503.9 ათასი ლარის 21.0%-ია. კულტურის ღონისძიებების დაფინანსების მთლიანი მოცულობის 41.0%-ს შეადგენს ტელევიზიის სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსება 8567.8 ათასი ლარი, რაც საანგარიშო პერიოდის საგეგმო მაჩვენებლის 92.0%-ია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებებიდან სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის ხარჯებმა შეადგინა 1155.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 1173.2 ათასი ლარის 99%-ი.

სპორტის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3182.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 4325.7 ათასი ლარის 74.0%-ი; მათ შორის გაჯანსაღება, მასობრივი სპორტის განვითარების ღონისძიებების დაფინანსების ოდენობა 2324.3 ათასი ლარი, შეადგენს გეგმის 3321.9 ათასი ლარის 70.0%-ს და სპორტის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 72%-ს.

ტურიზმის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 317.0 ათას ლარს, ანუ საგეგმო მაჩვენებლის 690.0 ათასი ლარის 46.0%-ი.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 63443.5 ათას ლარს, ანუ გეგმის 81593.6 ათასი ლარის 78.0%-ს. აღნიშნული ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ხუთი თვის მთლიანი ხარჯების 6.0 %-ს შეადგენს. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მართვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 3238.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3814.8 ათასი

ლარი) 85.0%-ი; მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 11341.8 ათასი ლარი, რაც გვემის (13363.4 ათასი ლარი) 85.0%-ია და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 17.0%-ი; ხოლო მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 24515.7 ათასი ლარი, ანუ გვემის 26524.1 ათასი ლარის 92.0%-ი და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 41.0%-ი. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 6759.4 ათასი ლარი, რაც გვემის 7592.0 ათასი ლარის 89.0%-ს შეადგენს. ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 10837.3 ათასი ლარი, ანუ გვემითი მაჩვენებლის 19212.4 ათასი ლარის 56.0%-ი, ხოლო ჯანდაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 16.0%-ი. ჯანმრთელობის დაცვის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 6751.3 ათასი ლარი, ანუ გვემის 11086.9 ათასი ლარის 61.0%-ი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 281223.0 ათასი ლარი, რაც გვემის 292100.2 ათასი ლარის 96.0%-ს შეადგენს. აღნიშნულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ხუთი თვის მთლიანი ხარჯების 25.0%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის ღონისძიებების ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი საპენსიო უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობის (223072.9 ათასი ლარი); დევნილთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსების (27917.0 ათასი ლარი); ელექტროენერჯის მომხმარებელთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსების (6176.9 ათასი ლარი); უძმეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარების დაფინანსების (9491.0 ათასი ლარი) და სოციალური დაცვის მართვის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობის (6814.0 ათასი ლარი).

მეცნიერების ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 8999.1 ათასი ლარი, რაც გვემის 9564.5 ათასი ლარის 94.0%-ია. მ. შ. ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსებამ შეადგინა 2920.2 ათასი ლარი, ანუ გვემის (3083.8 ათასი ლარი) 95.0%-ი, ხოლო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5105.6 ათასი ლარი, ანუ გვემის (5437.7 ათასი ლარი) 94.0%-ი. მეცნიერების მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 832.4 ათასი ლარი, რაც გვემის 895.5 ათასი ლარის 93.0%-ს შეადგენს.

საერთო მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 83652.3 ათასი ლარი, რაც გვემის 115199.4 ათასი ლარის 73.0%-ს შეადგენს. მათ შორის საკანონმდებლო საქმიანობის და კონტროლის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 11694.7 ათასი ლარი, ანუ გვემის 12638.0 ათასი ლარის 93.0%-ი და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 13.0%-ი, აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინაციის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 13924.1 ათასი ლარი, ანუ გვემის 17243.8 ათასი ლარის 81.0%-ი და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 16.0%-ი. ეკონომიკური პროცესების მართვისა და რეგულირების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 45565.9 ათასი ლარი, ანუ გვემის 49779.6 ათასი ლარის 92.0%-ი; ეკონომიკური პროცესების მართვა და რეგულირების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 45565.9 ათასი ლარი ანუ გვემის 49779.6 ათასი ლარის 92.0%-ი და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 54.0%-ი. საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მაჩვენებელმა შეადგინა 12179.0 ათასი ლარი, რაც გვემითი მაჩვენებლის 35.0%-ია.

საგარეო ურთიერთობათა ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 18037.0 ათასი ლარი, რაც გვემის 18566.8 ათასი ლარის 97.0%-ია; მათ შორის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსება შეადგენს 10757.5 ათას ლარს, ანუ გვემის 11205.2 ათასი ლარის 96.0%-ს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 4211.0 ათას ლარს, ანუ გვემის 100.0%-ს.

არაკლასიფიცირებული ფინანსური ნაკადების მოცულობის მაჩვენებელია 228702.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 349765.4 ათასი ლარის 65.0 %-ს შეადგენს; მათ შორის საშინაო ვალის მომსახურების მოცულობამ შეადგინა 45372.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 134430.7 ათასი ლარის 34.0 %-ია, ხოლო საგარეო ვალის მომსახურების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 110647.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 130874.5 ათასი ლარის 85.0 %-ია. ტერიტორიულ ბიუჯეტებში ტრანსფერების მოცულობა შეადგენს 72683.1 ათას ლარს, რაც გეგმის 91.0%-ია.

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 155950.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 228794.1 ათასი ლარის 68.0%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ექვსი თვის ხარჯების მთლიანი მოცულობის 14.0%-ი. მათ შორის თავდაცვის მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 145623.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 217115.3 ათასი ლარის 67.0%-ი, ხოლო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად კი – 8974.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 10085.4 ათასი ლარის 89.0%-ს შეადგენს.

მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ – 112100.3 ათასი ლარი (გეგმა – 127268.3 ათასი ლარი) ანუ გეგმის 88.0% და სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 10.0%-ი შეადგინა; მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 96317.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108938.6 ათასი ლარის 88.0%-ი და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 86.0%-ი. მ.შ. მაღალი რანგის თანამდებობის პირთა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 14546.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 16438.5 ათასი ლარის 88.0%-ი, ხოლო მართლწესრიგის მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 8316.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 10230.3 ათასი ლარის 81.0%-ი. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დამცავ უწყებებში საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მოცულობა შეადგენს 7465.7 ათას ლარს, რაც გეგმის 8099.5 ათასი ლარის 92.0%-ია.

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2005 წლის ექვს თვეში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 23 070.0 ათასი ლარით, ხოლო იანვარ-ივნისში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ 22 შემთხვევაში შეადგინა 22 679.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხაზინაში წარმოდგენილი და რეგისტრირებული ვალდებულების მოცულობა შეადგენს 22 548.3 ათას ლარს, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 22 548.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 22 074.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულებებისა და დამოწმების 98%, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების 97%. აქედან, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 14 შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული თანხაზე 14 773.5 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ რვა შემთხვევაში პირველი ივლისისათვის ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 604.9 ათასი ლარი.

## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 2005 წლის ექვს თვეში განისაზღვრა 19 780.0 ათასი ლარით, ხოლო იანვარ-ივნისში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 15 985.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგისტრირებულ იქნა ვალდებულება 13 571.6 ათას ლარზე, დამოწმების მოცულობამ შეადგინა 13 410.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 12 173.3 ათასი ლარი, ანუ დამოწმების 91% და ვალდებულებების 90%, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების მოცულობის 76%. აქედან, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 44 შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული თანხაზე 7 304.6 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ 31 შემთხვევაში პირველი ივლისისათვის ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 812.3 ათასი ლარი.

## წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

“საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, წინა პერიოდის დავალიანებათა დასაფარად ექვს თვეში დავალიანებათა დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი იქნა 56 146.7 ათასი ლარის ასიგნება, ასევე ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად ღონისძიებების სახით დავალიანებების დასაფარად განისაზღვრა 13 165.3 ათასი ლარის ასიგნება.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლების დავალიანებების დასაფარად მიმართული იქნა შრომის ანაზღაურების მუხლით – 78.0 ათასი ლარი (გეგმა – 78.1 ათასი ლარი), დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით – 26.8 ათასი ლარი (გეგმა – 27.6 ათასი ლარი); ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შრომის ანაზღაურების მუხლით – 122.8 ათასი ლარი (გეგმა – 122.8 ათასი ლარი), დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით – 38.9 ათასი ლარი (გეგმა – 38.9 ათასი ლარი).

წინა პერიოდის დავალიანებათა დასაფარად საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ “მივლინებების” მუხლით მიმართულ იქნა 14.8 ათასი ლარი (გეგმა – 14.8 ათასი ლარი).

„სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიმართულ იქნა – 14.4 ათასი ლარი (გეგმა – 14.7 ათასი ლარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ – 121.8 ათასი ლარი (გეგმა – 129.5 ათასი ლარი); საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2004 წლის დეკემბერში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად, მიმართულ იქნა 768.6 ათასი ლარი (გეგმა – 1 380.0 ათასი ლარი).

უხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებიდან ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 469.7 ათასი ლარი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ “სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების” მუხლით ანტიტერორისტულ ოპერაციებში წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვის ღონისძიებებისათვის მიმართა 3 464.8 ათასი ლარი (გეგმა – 8 105.0 ათასი ლარი), ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ “კაპიტალური ხარჯების” მუხლით მიმართულ იქნა 69.0 ათასი ლარი (გეგმა – 69.0 ათასი ლარი).

წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი (“სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 55 832.3 ათასი ლარი) და ბიუჯეტის შესახებ კანონის

თანახმად ღონისძიებებზე განსაზღვრული ასიგნებების („სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან – 1 700.0 ათასი ლარი; “სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 1 485.0 ათასი ლარი) ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ იანვარ-ივნისში გასული წლების დავალიანებების დასაფარად მიმართულ იქნა: “სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან – 1 346.8 ათასი ლარი, “სუბსიდიისა და ტრანსფერების” მუხლიდან – 55 608.6 ათასი ლარი; მათ შორის, საპენსიო დავალიანებების დასაფარად – 46 139.8 ათასი ლარი (გეგმა – 46 445.0 ათასი ლარი); ჯანდაცვის პროგრამებში არსებული დავალიანებების დასაფარად – 7 946.7 ათასი ლარი (გეგმა – 8 000.0 ათასი ლარი), ხოლო უმუშევრების სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების დავალიანების დასაფარად – 788.8 ათასი ლარი (გეგმა – 1 485.0 ათასი ლარი); სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო დახმარების პროგრამის (2004 წელს ნაკისრ ვალდებულებათა ანაზღაურებისათვის) ხარჯების დასაფინანსებლად – 1 346.8 ათასი ლარი (გეგმა – 1 700.0 ათასი ლარი).

2005 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.